დევიდ ლინჩი საქართველოშია

12:13, 19.11.2017

მსოფლიო კინოს ლეგენდა დევიდ ლინჩი უკვე საქართველოშია. ამ წუთებში ის პარლამენტში, განათლების კომიტეტის ხელმძღვანელს ხვდება.

შეხვედრას კულტურისა და განათლების მინისტრებიც ესწრებიან. ამერიკელი რეჟისორი, სცენარისტი, მუსიკოსი და პროდიუსერი თბილისში პირადი თვითმფრინავით წუხელ ჩამოფრინდა.

ვიზიტი დაკავშირებულია დევიდ ლინჩის ფონდის კავკასიის განყოფილების საქმიანობასთან, რომელიც 2017 წლის 25 ივლისს თბილისში ჩამოყალიბდა და საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს აერთიანებს.

ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია პრესკონფერენციები, შეხვედრები, საჯარო ლექცია და ფილმის ჩვენება.

ეს დევიდ ლინჩის პირველი ვიზიტია საქართველოში.

DAVID LYNCH IS IN GEORGIA

The legend of the world cinema David Lynch is already in Georgia. At this momet he is meeting with the Chairperson of the Committee of Education in the Parliament.

The meeting is also attended by the Ministers of Culture and Education. The American film director, scriptwriter, musician and producer arrived in Tbilisi last night by his private jet.

The visit is related to the activities of the David Lynch Foundation Caucasus office, which has been founded on the 25th of July of 2017 in Tbilisi and unites Georgia, Azerbaijan and Armenia.

The schedule of the visit includes press-conferences, meetings, public lecture and film screening.

This is Davd Lynch's first visit in Georgia.